განკარგულება:**g-81. 8122315001**
თარიღი:**11/11/2022**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №65

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიისთვის სარგებლობის უფლებით გადმოცემული ავტომანქანის პიკაპი/Pick-up GREAT WALL WINGL სახელმწიფო ნომრებით TT-515-TH სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

,,სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებში) ადმინისტრაციის მიერ ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალების ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიისათვის სარგებლობაში გადაცემის შესახებ.“ 2019 წლის 21 მარტის №15 განკარგულების შესაბამისად, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას სარგებლობის უფლებით გადაეცა ავტომანქანა პიკაპი/Pick-up GREAT WALL WINGL სახელმწიფო ნომრებით TT-515-TH (ძველი სახელმწიფო ნომრით XW-033-WX), ვერცხლისფერი. დღეის მგომარეობით მერია ავტომანქანას ვერ იყენებს, ვინაიდან არ ექვემდებარება შეკეთებას, ამიტომ მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული მანქანა დაუბრუნოს მის მეპატრონეს სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს.“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის და 108-ე მუხლის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. თანხმობა მიეცეს, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიისათვის სამხარეო ადმინისტრაციიდან სარგებლობის უფლებით გადმოცემული ავტომანქანა პიკაპი/Pick-up GREAT WALL WINGL სახელმწიფო ნომრით TT-515-TH (ძველი სახელმწიფო ნომრით XW-033-WX) დაუბრუნდეს მის კანონიერ მეპატრონეს სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს.“

2. განკარგულება გადაეგზავნოს სსიპ ,, სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს.“

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ.№69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. N65, ტელ: +995 551179741
ელ.ფოსტა: tsagerissakrebulo@gmail.com